იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

კვირა 22 ივნისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „ი მ ე რ ე თ ი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 86 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 86

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზ. „იმერეთის“ ხელის მომწერთა

საყურადღებოთ

რედაქცია სთხოვს გაზეთის ხელის მომწერთ გაზეთის ხვედრი ფული წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთის გზავნა შევსწყვიტოთ.

ქ უ თ ა ი ს ი
პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნევრვების.

ბ. ა. **მირაქოვი**—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1— 2
გ. ს. **ნადირაძე**.—შინაგანი და ბავშის	10—11
ა. ა. **რელიგიონი**—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე	11—2
მ. დ. **ბეთანოვი**.—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ა. **ჭოღოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ.	$12^1/_2 2$მ

საღამოთ.

გ. დ. **ქორქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით	$4^1/_2$—$5^1/_2$
გ. ა. **ჭოღოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ.	$5^1/_2$—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოღოშვილი

ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოდ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ: 1) იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში და მონაწილეობა მიიღონ ქუთაისის ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა არჩევნებში** მომავალი ოთხი წლისთვის (1914—1918 წ. წ.), საქალაქო დებულების მე-8 მუხლის თანახმად, **უსათუოდ უნდა შემოიტანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასახადის „ნედოიმკები“** ნახევარი წლის გადასახადზე მეტი.

2) ის პირნი, რომელნიც საბოლოო საარჩევნო სიაში არ იქნებიან შეტანილი, **არჩევნებში მონაწილეობას კარგვენ.**

3) საქალაქო დებულების 24-ე სტ. მე-17 განყოფ., მე-2 მუხ. თანახმად, **იმ თანამემამულეებმა** რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ პირველ საარჩ. სიაში შეტანილი არიან საერთო სახელით **„მემკვიდრეები** ამა და ამ პირისა“, უნდა წარმოადგინონ თავის დროზე—და არა უგვიანეს მდგომარე 1914 წლის აგვისტოს 1 რიცხვისა—კანონით დაწესებული საბუთი, სადაც **უნდა ჩამოთვლილი იქნეს ცალცალკე ყველა მემკვიდრე**, რომ ეს მემკვიდრეები შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში. 5—3

სამკურნალო აბანო

ძმ. ქორქოლაძეების

სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტყიბულის რკინის-გზის შტოზე

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.

ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარეიასაგან) და აგრეთვე აღორძინებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტყიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ „სერნია ვოდში“. აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ბარგის გადაზიდვა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ „სერნია ვოდში“ იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის აბანო.

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხ ვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯავანიძე.**

სოფ. კურსებში

ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ 22 ივნისს 1914 წ. გაიმართება წარმოდგენა სალიტერატურო განყოფილებით სცენის მოყვარეთა მიერ **ნ ე მ ო ს** დახმარებით. წარმოდგენილი იქნება.

დ ა დ ა ძ მ ა

ისტ. დრ. 5 მოქ. ვ. გუნიასი.

საკუთარ ნაწარმოებს წაიკითხვენ: ია ეკალაძე, თომაშვილი, ცვარ-ნამი და ი. მჭედლიშვილი. ბავშები წაიკითხვენ ლექსებს. ხორო შეასრულებს რამდენიმე სიმღერას. ბოლოს დაიდგმება ორი ცოცხალი სურათი დასასრულ **ლ ე კ უ რ ი** და **ზ უ რ ნ ა.**

ხელმისაწდომ ფასებში შეიძლება იშოვნოთ ყოველივე სანოვაგე.

უამიდობის გამო წარმოდგ. გადადებული იქნება 6 ივლისისთვის.

ექიმის იკ. ბოკერიას

საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

ექიმი ბ. ა. მირაქოვი დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი ა. მ. ასათიანი ღებულობს ავათმყოფებს. ქალის, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ექიმი ი. ჩარექოვი იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ხალვთო სკოლის მასწავლებელთა

საყურადღებოთ.

ქუთაისში, გ. გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული საღვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ჯგუფი სტუდენტ სპეციალისტებისა უსწორებს გაკვეთილებს და ამზადებს მოწაფეებს ყველა საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი: ქარვასლის ქუჩა ჩარექოვის სახლი № 13.

შემთხვევით

იყიდება

ხელმისაწდომ ფასში საბაკალეინო დუქანი მთელი მოწყობილებით

ადრესი: სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი იკითხეთ ანთიმოზ ქორიძე.

ქუთაისში
თბილისში

სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

მე-3 ხარისხის მოსამზადებელ

სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოჯოლავასი.

ხმა საზღვარგარეთიდან.

ტირიფონის ველზე მოსახლეების მომავალ უბედურების ამბავმა ევროპამდისაც მოაღწია და საზოგადოების ყურადღება მიიქცია. მრავალრიცხოვანი მშრომელი ხალხის აყრა იმ ადგილებიდან, რომლებზეც უცხოვრიათ მათ მამა პაპას და რომლებთანაც ის სრულიად შესისხლხორცებულია, გულისწყრომით ავსებს კეთილშობილ ადამიანთა გულს და პროტესტს იწვევს მათში ასეთი მოვლენის წინააღმდეგ. „განა ვინ არის თავდები იმისა, რომ ხვალ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან კიდევ არ ჰყრიან ათას მცხოვრებს და არ მოაშორებენ თავის სამშობლო კერას“. პარიზის ერთი გაზეთი ამბობს: ამას წინათ ლივერპულში მომხდარ **ინგლისის მშვიდობიანობის საზოგადოების** კონგრესმაც განიხილა რა ქართველების მდგომარეობა, ერთხმად მიიღო შესაფერი რეზოლუცია და დაადგინა, რომ პირი ამ რეზოლუციისა გაეგზავნოს: რუსეთში მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს, მეფის მოადგილეს კავკასიაში, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნს ედუარდ გრეის და პრესას.

ეს რეზოლუცია დაიბეჭდა ინგლისურ, ფრანგულ და ბელგიის მრავალ გაზეთში. ამას გარდა გაზეთ L' Indepndance Beije-მა 12 ივნისიდან 1914 წ. მოათავსა ფრიად საყურადღებო წერილი ინგლისის დაჩაგრულ ერთა კომიტეტის მდივნის ქალბატონ ნ. **დრაიჰორსტისა**, რომელმაც 1906 წ. თვითონ იმოგზაურა საქართველოში და თავის თვალით ნახა რევოლუციის შედეგის შესაზარავი სურათი. თავის წერილში ავტორი მიჰმართავს მთელ ევროპის თავისუფალ პრესას, რომ მათ ხმა ამოიღონ ქართველ გლეხების მდგომარეობის შესახებ ამგვარივე მოწოდებით მიჰმართა ყველას საქართველოს უფლებათა დამცველმა ფრანგულმა ლიგამ. ტირიფონის ველის საქმე გაუგებარი და უცნაური ფაქტია ევროპიელების თვალში, და ჰსურთ თავისი პროტესტით თანაგრძნობა გამოუცხადონ დაჩაგრულს ჩვენებურ მიწის მშრომელთ.

ვის უნდა მიადგენ სახლ-კარ დანგრეულნი, ღატაკნი, სად მოსძებნონ მათ მეორე ტირიფონა, სად უნდა ჩაყარონ მათ თავიანთი მობეზრებულ ცხოვრების ახალი საძირკველი?

Anverless.

აქვე მოგვყავს ქ-ნ **დრაიჰერსტის** წერილიც:

მოწყალეო ხელმწიფეო.

1907 წელს თქვენს პატივცემულ ორგანოში დაბეჭდილი გქონდათ საქართველოს ერის პეტიცია ჰააგის კონფერენციის წინაშე წარდგენილი. გარდა ამისა, ვიცი, რომ თქვენ მუდამ მზად ბრძანდებით გამოექომაგოთ ხოლმე დაჩაგრულ ეროვნებათა უფლებებს. ამიტომ ვკადნიერდები და გთხოვთ, ერთხელ კიდევ გამოესარჩლოთ საქართველოს, კავკასიის სამხრეთით მდებარე ამ მშვენიერსა და ნაყოფიერ პატარა სამეფოს.

1906 წ. გაგზავნილი ვიყავი საქართველოში, როგორც დელეგატი ქართველთა დამხმარე ინგლისის კომიტეტისა. მოვიარე საქართველო და ამ ჩემს მოგზაურობის შესახებ მოხსენება საზოგადოებას წარმოვუდგინე. ეს მოხსენება შემდეგ ინგლისურ პრესაშიაც დაიბეჭდა...

„რუსის სამხედრო უწყების განკარგულებით 20,000 სული ქართველი გლეხი უნდა აჰყარონ თავიანთ მამულიდან და სამშობლოდან განდევნონ, მათი კერა უნდა ჩააქრონ, მათი ბაღ-ვენახები უნდა გადაჰკაფონ, და მთელი ველი, საქართველოს შიგ შუაგულში, უნდა გადაიქცეს სამხედრო სავარჯიშო ბანაკად.

ტირიფონის ნაყოფიერი და თვალწარმტაცი ველის, შუაგულ საქართველოს, 20,000 მცხოვრებს მთავრობამ გამოუცხადა: თქვენი ბაღ-ვენახები და სახნავ-სათესი ადგილები 100,000 ჯარის-კაცის სამხედრო სავარჯიშო ბანაკად გვინდაო. გლეხებს ორში ერთი დარჩენიათ: ან ჩალის ფასად უნდა დაუთმონ თავიანთი მიწა-წყალი და თავისი ნებით გაეცალონ მანდაურობას, ან და ძალით გაარეკვინონ თავი...

„ამიტომ მივმართავთ ევროპის თავისუფალ პრესას — გვიშველონ და მოაგონონ რუსის მთავრობას, რომ მისი პოლიტიკა საქართველოში — აშკარა დარღვევაა განათლებულ ერთა საერთაშორისო ჩვეულებათა და უფლებათა“.

ეს მოწოდება, იმედი მაქვს, უნაყოფო არ დარჩება. ევროპის პრესა, პროგრესიული საზოგადოებანი და ყველა კაცთმოყვარე ადამიანი არ მოაკლებენ თვის თანაგრძნობას და დახმარებას იმ გლეხთა სასარგებლოთ, რომელნიც გმირულათ იცავენ თავისს უფლებებს და თვით არსებობასაც.

ნ. დრაიჭერტს.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

სოფ. ბაშსა და საყულიაში (ქუთაისის მაზრა) თფილისის სახელმწიფო ბანკს დარჩენია დიდძალი მამული, რომელსაც განაგებს დიმიტრი ალმასხანის ძე მესხი. როგორც გავიგეთ, ამ დღეებში სახელმწიფო ბანკის გამგის ნებართვით, ბ. მესხთან მისულა ორი სომეხი ადგილების დასათვალიერებლათ. ადგილები მოსწონებიათ და უნდათ შეიძინონ. ამ მამულზე გადმოსახლებას აპირობს თურმე რვაასამდი კომლი სომეხი.

ქ. წ. კ. გ. ქუთ. გინყ. გამგეობამ ნებართვა აიღო ადგილობრივი ღვდლის პასუხისმგებლობით გახსნას უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს. ს. სალმთოში (ოზურგეთის მაზრა).

◆ ს. კურსებში დღეს, 22 ივნისს, გაიმართება წარმოდგენა სალიტერატურო განყოფილებით, 1 წარმოადგენენ „და-ძმას“ დრ. 5 მოქმედ. ვ. გუნიასი. 2 გან.: სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ია ეკალაძე, დ. თომაშვილი და ი. მჭედლიშვილი; ბავშები წაიკითხავენ ილია ჭავჭავაძისა და აკაკის ლექსებს; ნემო წაიკ. იმერულ და სომხურ სცენებს: 3 გან. ხორო შეასრულებს სხვადასხვა სიმღერას. ილ. ქლენტი წაიკითხავს გურულ სცენებს. 4 გან. დაიდგმება ცოცხალი სურათები: ქართველი დედა და საბედისწერო ხიდი. დასასრულ გაიმართება ლეკური, დაუკრავს ზურნა. უამიდობის გამო სალამო გადაიდება 6 ივლისისათვის.

◆ როგორც მოხსენებული იყო ჩვენს გაზეთში, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სამრევლო მასწავლებელთა კურსები სწარმოებს. მასწავლებელთა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი მუნჯური მეთოდის შესახებ. უმრავლესობა მასწავლებლებისა უარყოფს მუნჯურ მეთოდის შემოღებას სკოლებში. ღვდ. მჭედლიძემ სასტიკათ დაჰგმო იგი. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა ეპარქიის მეთვალყურეს სირსკის: ეს მეთოდი ძველია, დახავსებული და ჩვენი ქართული სკოლებისთვის გამოუსადეგარი და ითხოვს მოსპობილ იქნას ჩვენს სკოლებში. მან აგრეთვე მიმართა მასწავლებელთ და სთხოვს უარყოფით შეხვდენ ამ მეთოდს და გააძევონ თავის სკოლებიდან. უმრავლესობამ მ. მჭედლიძეს დაუჭირა მხარი და განაცხადეს, რომ ამ მეთოდით ბავშებს არ ასწავლიან და ყოველი ცდა მისი შემოღებისათვის დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსაშინა.

◆ წელს, პირველათ, ქ-ნ მ. ყაუხჩაშვილის საქალო გიმნაზიაში მოხდა გამოცდა მე 7 კლასის მოწაფეების, ოლქის მზრუნველის წარმომადგენლსი გ. კორიცკის ხელმძღვანელობით. ეგზამენებზე დაშვებული იყო 28 მოწაფე, ამათში სწავლა დაასრულეს და ატესტატის მიცემის ღირსათ იცნეს 22 მოწაფე-ქალი: ამაღლობელი ივდითი, ასათიანი ელენე, აფრიდონიძე ნინო, ვაშაძე სადიკო, გორდელაძე ელენე, ბარძიმაშვილი აიკანუშ, ჯაფარიძე თამარა, კაკაბაძე მატრონა, კაციტაძე ნინო, ქურციკიძე ლიდია, მეძმარიაშვილი ნადეჟდა, პურადიშვილი აგრაფენა, ნაკაშიძე მარიამი, ნიორაძე ვერა, თოფურიძე ოლღა, უშვერიძე ეკატერინე, მხითაროვა შუშანიკა, ლეკიშვილი ელპიდა, თაფათაძე მარიამი, გეგიძე მარიამი, იუონინა ალექსანდრა და ჩაჩიბაია ქრისტინე.

◆ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას ვლადიმერ ვეკუამ გადასცა შემდეგი ნივთები:

1. მხედრული ხელთნაწერი ტყავით გადაკრულ ხის ყდაში, ხელთნაწერი შეიცავს სამს წიგნს: ა) საბა — სულხან ორბელიანის საქრისტიანო კატეხისმოს, ბ) წიგნს, რომელსაც ეწოდება: „წამებანი წმიდათა წინასწარმეტყველთანი“, გ) „ქორონიკონს ახლად გაკეთებულს გროველ ყოფილის თფილისის მიტროპოლიტის ნიკოლოზ ორბელიანისა“. წინ და ბოლოში რამდენიმე გვერდი აკლია.

(შემოსწირა დეკანოზმა სამსონ ანჯაფარიძემ. ს. კიწია სენაკის მაზრისა).

2. ვერცხლის სანაწილე ჯვრის სახედ გაკეთებული მხედრული წარწერით ქორონიკონის ჩვენებით, მეჩვიდმეტე საუკუნისა.

(შემოსწირა ღვდელმა გაბრიელ ჯიქიამ, რომელსაც იგი შეუძენია ერთი თავის ნათესავ ღვდლისაგან. უკანასკნელს კი ის მიუღია საჩუქრად აწ განსვენებულის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზის გრიგოლ დადიანისაგან. დ. ზუგდიდი).

3 — 4. ორი სპარსული ვერცხლის ფული, სოფელ ქვიტირში ნაპოვნი, მეშვიდე და მეცხრე საუკუნისა.

(შემოსწირა გერასიმე იობის ძემ შავგულიძემ. ქ. ქუთაისი, ორპირის ქუჩა).

5. ერთი რომაული ფული. ეს ერთი იმ ფულებთაგანია, რომლებიც 1897 წელში მრავალი იპოვეს ს. სავეკუოში (ზუგდიდის მაზრის).

(შემოსწირა ს. სამღებროში მოვაჭრე მალაქია შელეგიამ, ს. ახუთი, ზუგდიდის მაზრის).

6. ერთი სპილენძის ფული, ნახული ს. სავეკუოში ნაზოდელოუს წმიდის გიორგის ეკლესიაში.

7. ერთნაირი საკრავი, რომელსაც მეგრელები ლარჭემს ეძახიან, ექვს ხმოვანი.

(შემოწირულია რვა წლის ქალიშვილის კატია ალანიას ასულისაგან ს. წარჩე, სამურზაყანოს ნაწილი).

8) ერთი დიდი ვერცხლის ბეჭედი ძველებური, თვლით.

(შემოწირული მედავითნე ანდრია იესეს ძის კეკუასაგან.

◆ გაზ. „ჩვენი ერის“ თანამშრომლებმა გაზეთის გამოცემა მომავალ სექტემბრამდი შეაჩერეს.

◆ ოჩემჩირიდან და ართვინიდან გუშინ დაბრუნდა საოლქო სასამართლოს თავჯდომარე ბ-ნი ფედოროვი და სასამართლოს სესიაა

◆ დღეს დ. ჭიათურაში დანიშნულია ხალხის მოჭირნახულე მწერლის ეგნატე ნინოშვილის სალამო.

◆ 25 ივნისს მომრიგებელ მოსამართლესთან მოხდება საჯარო ვაჭრობა მარიამ მიქაბერიძის ქალის მოძრავი ქონებისა, რომელიც ვალში არის აწერილი და შეფასებულია 20 მან. და 10 შაურათ.

◆ გუშინ დილის მატარებლით პეტერბურგიდან ქუთაისს ჩამოვიდა ჭიათურის შავიქვის საბჭოს თავჯდომარე ბ-ნი გიორგი ზდანოვიჩი.

◆ მომავალ 1915 წელს სოფელ ქიშურაში სიმონეთისა და ჰოგნარის საზოგადოებათა საზღვარზე გაიხსნება ახალი ქსენონი, საავათმყოფო, რომლის დამტკიცებაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის თავ. პეტრე წულუკიძეს.

◆ 20 ივნისს ქალაქის თეატრში შესდგა ახალგაზდა მწერლის ი. მჭედლიშვილის სალამო. სალამოს ხალხი ბლომათ დაესწრო.

◆ 19 ივნისს ნორმალური სავალდებულო დასვენების კომისიის წევრებმა ოქმი შეუდგინა წესდების დარღვევისათვის მოვაჭრე ძმ. კომეტიანებს.

◆ 20 ივნისს ოლქის სასამართლომ გაარჩია: დიმიტრი ვეფხვაძის, პლატონ ლაბაძის და კალენიკა დევდარიანის საქმე. მათ ბრალდებოდათ სოფ. მარელისში (შორაპნის მაზრა) 1913 წელს გლეხ კოზმან მაღრაძეზე თავდასხმა. ამ საქმეზე გამოწვეული იყო 30 მოწმემდი. ვეფხვაძეს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრ. გიორგაძე ·ლაბაძეს--ნაფ. ვექ. ა. საყვარელიძე — სასამართლომ დევდარიანი გაამართლა. ლაბაძეს 10 წლის კატორღა მიუსაჯა, ვეფხაძეს კი — 12 წლისა.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა უკვე ნება დართო წერა-კითხვის ქუთაისის განყოფილებას, გახსნას ბიბლიოთეკა-სამკითხველო სოფელ მიქელ გაბრიელში (ოზურგეთის მაზრა) ციციკო ხომერიკის პასუხისმგებლობით.

სამტრედია.

აბრეშუმის პარკის ვაჭრობამ ბევრს აქაურ „ვაჭარს“ აღუძრა სურვილი. გაიჩინეს აგენტები და მათი წყალობით, ხალხს თავის ქსელში აბმენ. ამ ჟამათ სამტრედიის ბაზარზე იყიდება 1 ხარისხის პარკი — 19 მ. და 4 აბ. მეორე — 18 მ. და მესამე — 17 მანეთად. პარკის შემოზიდვა გძელდება, და ამიტომ საჭიროა, როგორც პოლიციამ, ისე ადგილობრივმა დაინტერესებულმა პირებმა ყურადღება მიაქციონ ამას და ეცადონ პარკი იწონებოდეს საზოგადო ყაფანზე (სასწორზე), სადაც წონაში არ მოტყუვდებიან და ცოტათი მაინც ფრთა შეეკვეცება აქაურ „ჩარჩების“ თავ-გასულობას.

— ამ მოკლე ხანში მოხდა აქაურ წ. კ. გ. ს-ბის წლიური კრების გაგძელება. სხვადასხვა მიზეზის გამო, კრება კიდევ გადაიდვა შემდეგისთვის. საჭიროა, საზოგადოების წევრნი გულდამშვიდებული მოვიდენ საზოგადო კრებაზე და პარტიულ განხეთქილებას საზოგადო საქმეში თავი დაანებონ.

— ამინდები ჯერჯერობით დ. სამტრედიის რაიონში მოსავლისათვის ჯერჯერობით კარგია, გლეხებს კვლავ ცოტა იმედი მიეცათ კარგი მოსავლისა. ავათმყოფობა ისე ხშირი არაა, როგორც წინათ იყო.

— აქაური ნოქრები ძლიერ გაურბიან თვითგანვითარებას. თავისუფალ დროს ტყვილა უბრალოთ კარგვენ. სამკითხველოში ქუდი რომ შეუგდოთ, გამოსატანათ არ შევლენ.

თფილისი

სამართალში მიცემა „სახალხო გაზეთი“-ს რედაქტორისა. გუშინ „სახალხო გაზეთი“-ს რედაქტორს ნ. ს. კურდღელაშვილს მესამე საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს. რედაქტორი სამართალში მიცემული სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით იმის გამო, რომ მიმდინარე წლის 22 აპრილის ნუმერში დაბეჭდა მეთაური წერილი შემდეგ სათაურით „22 აპრილი. მუშათა გაზეთებისა და ჟურნალების დღესასწაული“.

ქალაქის სასაკლაოს გარშემო. ქალაქის სასაკლაოს ალმშენებელი ტეხნიკოსი მ. პ. ალანჯანოვი სამსახურს თავს ანებებს. ამის მიზეზი შემდეგია: 17 ივნისს, ქალაქის სასაკლაო დაათვალიერეს ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა გ. დ. ჟურულმა, გამგეობის წევრმა მ. ნ. ათაბეგოვმა და ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფანოვმა. სასაკლაოში დეფექტები აღმოჩნდა, რის გამოც იქვე გაიმართა თათბირი. სასაკლაოს დირექტორმა თ-დ ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა, რომ დეფექტები აიხსნება იმით, რომ სასაკლაოს ტეხნიკური მეთვალყურეობა აკლია მთავარ ტეხნიკოსის მ. პ. ალანჯანოვის მხრითაო, რომელიც სასაკლაოში ყოველდღე არ მოდის, და როცა მოდის, მაშინაც მცირე ხანსა რჩებაო. მ. პ. ალანჯანოვმა ეს იწყინა და განაცხადა ასეთ საყვედურს შემდეგ შეუძლებლად ვთვლი საქალაქო სამსახურში დარჩენასო და გ. დ. ჟურულმა მას შენიშნა: სამსახურისთვის თავის დანებებაზე ლაპარაკი მხოლოდ იმის შემდეგ შეიძლება, როდესაც სასაკლაოს შენობის ანგარიშებს წარუდგენთ გამგეობასო. მ. ნ. ათაბეგოვმა ამას დაუმატა, რომ ალანჯანოვი მოვალეა თავი დაიცვას, თუ მას ცილსა სწამებენ და არა გაიქცეს სამსახურიდანაო.

მელიტონ გოგეჩიას ხსოვნას.

ის მოკვდა, იგი დამარხეს,
ის მიწას ამოაფარეს,
ბოლო არ უჩანს ცრემლთა-ზღვას,
მადა აშლია სამარეს!..

—

მზეს ერთი სხივი მოაკლდა,
კრთომა დაეტყო მთვარესა,
კვნესა აღმოხდა კვლავ ერთხელ
ტანჯულ სამშობლო მხარესა!..

ტიალო ბედის ტრიალო,
უთვალოთ დაიარები!
ობოლ ოჯახში გინახავს
თავისუფალი კარები...

რას გვერჩი, ნუთუ არ გეყო
კვნესა ტანჯული ერისა,
ერთ დროსა ბედის მეუფის,
ახლა ცხოვრების გერისა?

—

ის მოკვდა, იგი დამარხეს,
ის მიწას ამოაფარეს,
ბოლო არ უჩანს ცრემლთა-ღვრას,
მადა აშლია სამარეს!!...

ილ. ნაჟარაძე.

◆

სტუმარი.

გაგძელება იხილე „იმერეთი“-ს 84-ე №.

— ჰაი, ჰაი, რა კარგი დრო გამიფრინდა; ნაყოფიერი და სამახსოვრო დრო. — თავი გააქნია მალხაზმა, წელში გასწორდა და ამოიოხრა. აივანზე ფეხ-აკრეფით ამოვიდა ჭაღარა შერთული ფოშტის დამტარებელი, მალხაზს მოკრძალებით სალამი მისცა და ცალი ხელი წერილებით სავსე ჩანთასაკენ წაიღო. — „ა...ა...ა... გამარჯობა, ჩემო მოამბევ, ხომ ყოჩაღად... ვერც კი შეგამჩნიე საიდან გაჩნდი... დადიხარ რაღა?..

— გმადლობთ, ბ-ნო მალხაზ!.. სიყოჩაღე სადღაა... მოხუცებულობამ ჩამიკაკუნა... ფეხები მიმძიმს, წელშიც გამიჯდა... ძლივს დავფორთხავ, მაგრამ მეტი ღონე არაა... უნდა ვატარო წერილები და... მართლა, თქვენს სახელზე ტელეგრამა მაქვს. თუ სასიამოვნო ამბავი გამოდგეს, პილატეს ცრემლებით, გამიმასპინძლდით და... დილდილობით ყელის დეზინფექცია ურიგო საქმე არაა! — ეშმაკურად გაიღიმა, ჩანთიდან ტელეგრამა ამოაძვრინა და მალხაზს გადასცა. — „საიდან უნდა იყოს! — გაიფიქრა მალხაზმა, მოკეცილი ქაღალდი, თითქო მას არ ეკუთნისო, რამდენჯერმე შეატრიალა და ტელეგრამის მიღებაზე ხელი ზანტად მოაწერა.

— „ნახვამდი! — ჩაილაპარაკა მეფოსტემ, ქუდი შეათამაშა და წასვლა დააპირა. — „დაიცა შე კაი კაცო, ხომ არ მიჯავრდები... არაყს ამ წუთში გავაჩენ!

— ნუ სწუხდებით, ბ-ნო, მე ისე ვიხუმრე, თორემ!..

— ე...ე...ე... ვიცი რა შვილიც ბრძანდები... არაყის ციება გამჯდარი გაქვს... მორცხობა რა დროსია! — ძალდატანებულ ღიმილით სთქვა მალხაზმა, ტელეგრამა დასდვა და ოთახისაკენ გასწია. მეფოსტე აივანს მიეყრდნო, ოფლი მოიწმინდა და არაყის მოლოდინში პირი ააწლაპუნა. საკუჭნაოდან კარების წკრიალი და ჭიქების წკარა-წკური მოისმა. - რა საუცხოვო კაცია მალხაზი!.. ჩემთვის სასმელები მუდამ მზად აქვს. წამალსაც უფასოდ მიწერს ხოლმე! — გაიფიქრა მეფოსტემ და სმენად გადაიქცა.

— ღირსი არა ვარ ასეთი პატივისა, ნება მიბოძეთ, ჩემი ხელით დავასხა!..

ნუ ნაზობ შე კაი კაცო; გადაჰკარი შენებურად, ა, ჭკუა კი არ დაჰკარგო: ხომ იცი რა მძიმე მოვალეობა გაწევს! — „ეს თქვენი გამარჯობისა იყოს... ღმერთმა გმატოს სამკაული და ყოველივე სიკეთე... მაგრამ, რატომ ტელეგრამა არ წაიკითხეთ... იქნება უფრო მადიანად გადმეკრა!.. — იოხუნჯა მეფოსტემ და ერთის ყლაპით ჭიქა დასცალა.

— ვიცით, რომ მადაზე მწყრალად არ ბრძანდებით... აბა ცოტა პურიც შეატანე!..

„გმადლობთ, მეტისმეტი იქნება... თქვენს ამაგს თავის დღეში ვერ გადავიხდი!..

— შესაბრალისია ეს საცოდავი... არ გაეგება, რომ საწამლავს ლეშულობს... მეც ცუდად ვიქცევი, რომ ვაწოდებ!.. ჩაილაპარაკა მალხაზმა, როცა შეზარხოშებული მეფოსტე ეზოს მიეფარა, სათვალე გაისწორა და ტელეგრამა გახსნა.

— ქეთო, ა, ქეთო, აქ მოდი ჩქარა, სასიამოვნო ამბავი გითხრა... ნამახარობლევიც გამოიყოლე! - გაისმა მალხაზის ძახილი. ქეთო იმ წამსვე აივანზე დაიბადა.

— „მომილოცნია, ქეთო ხე... ხე... ხე... დღეს, ასე ვსთქვათ, საუცხოვო სტუმარი, დიახ, საუცხოვო სტუმარი გვეყოლება“ — ქეთო სმენად გადაიქცა, თავსაკრავი გაისწორა და გაოცებული თვალები ქმარს მიაშტერა. — „რას მომშტერებიხარ, ადამიანო, ვერ გაიგე ვანა რასაც გეუბნებიან?.. აი ტელეგრამა მივიღე... საღამოზე ვალიკო სახლში გვეყოლება. — „ვალიკო“ -- ძლივს წაილუღლუღა ქეთომ, მთვრალივით დაბარბაცდა და რომ არ დაცემულიყო, ზურგით კედელს მიეყრდნო. —

— საბრალო ზედმეტ სიხარულსაც ვერ იტანს!.. — გაიფიქრა მალხაზმა და თვითონაც გაჩუმდა.

II.

სასურველი სტუმრის მოლოდინში მალხაზის ოჯახს გამოფხიზლება დაეტყო. თეთრში გამოწყობილი მალხაზი მოუთმენლად ტრიალებდა ეზოში. თავში ათასნაირი ფიქრი უვლიდა. არ იცოდა რისთვის მოეკიდა ხელი; რაზე შეჩერებულიყო. მალხაზს იმდენათ ვალიკოს დანახვა არ აინტერესებდა, რამდენადაც იმის გაგება მიიღო თუ არა ვალიკომ ექიმის ხარისხი. ქეთომ ვერ მოითმინა და სასიხარულო ამბავი რამდენიმე მეგობარ მანდილოსანს შეატყობინა. ამათაც მოსვლა არ დაიზარეს. მალხაზი სტუმრებს არაჩვეულებრივად მხიარული დაუხვდა. — გმადლობთ, ბ-ბო, რომ შემოიარეთ; წასვლას ნუ დაიჩქარებთ: პური ერთად ვსჭამოთ, საცაა ვალიკოც მოგვისწრებს — ეპატიჟებოდა მალხაზი, თუმცა სტუმრები არც კი ფიქრობდენ წასვლაზე. ქეთო სადილის თავდარიგში იყო გართული, მოსამსახურე გოგოს ჩვეულებრივ არ უჯავრდებოდა, ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა და უსაზღვრო ბედნიერებას გრძნობდა. მალხაზის სურვილით სასადილო სუფრა ცაცხვის ჩრდილში გაშალეს; მადიანად ისადილეს; სადილის შემდეგ ტკბილეულობით და ნაადრევ ხილით გული იჯერეს და დაუსრულებელი მუსაიფი გააბეს. ლაპარაკი ვალიკოს გარშემო ტრიალებდა. ვალიკოს ცხოვრებიდან ბევრი სასაცილო რამეები მოიგონეს; ისეთებიც კი, რაც მალხაზს პირველად ესმოდა. თავისი მხრით მალხაზმაც სიყმაწვილის დროიდან რამდენიმე შემთხვევა მიაგონა.

— არა ვფიქრობდით, მალხაზ, თუ თქვენც აგეთი იყავით!.. ხალისიანად ამბობდენ გაოცებული სტუმრები. სმენად გადაქცეული ქეთო კი ნაკლებს ლაპარაკობდა; გული უტოკავდა და ეტლის ყოველ გარახუნებაზე თვალებს ქუჩისაკენ აყოლებდა. ჭამის კაი ხნის შემდეგ მანდილოსნებმა სურვილი გამოსთქვეს ვალიკოს შესახვედრათ მალხაზის თანხლებით ქალაქს გარეთ ეტლებით წასულიყვნენ; მალხაზმა განზრახვა არ მოუწონა.

— რატომ არა, რატომ არა გსურთ, მალხაზო. სამი წლის უნახავს დედის ერთას ქალაქს გარედ შეხვდეთ! — უსაყვედურეს მანდილოსნებმა.

— ქალაქს გარეთ გასეირნება თავისთავად სასიამოვნოცაა, მაგრამ დანამდვილებით არც კი ვიცით, რა დროს მოვა ვალიკო; აგიც რომ არ იყოს, თუ ექიმის ხარისხი არ მიუღია...

— კარგი, მალხაზ, დაანებე თავი მაგეებს; ბავში კარგად იყოს და ყველაფერს მოესწრება. გააწყვეტა ქეთომ და ქმარს წყენით შეხედა. ე... ე... ე, ჩემო ქეთო, არ გაგეგება, რასაც ამბობ... აბა რა დროს ვალიკოს ბავშობაა?.. ის კარგა ხანია ექიმი უნდა ყოფილიყო, თორემ ვაჟკაცობა და მკვლავის ღონე ახლანდელს დროში პოეტისა არ ყიოს — „აღარა ღირს გროში ცალი“ — დიაღ, მე უფლება მაქვს ვალიკოს შესახებ ასე ვიფიქრო!

სიჩუმე ჩამოვარდა.

მალხაზის სიტყვებმა ცოტა არ იყოს, სტუმრებს მხიარულობა დაუფრთხო. ქეთომ პასუხი არ გასცა და უსიამოვნების ასაშორებლად სალაპარაკო თემის გამოცვლა სცადა. მალხაზმაც იგრძნო საყვედურების უადგილობა, სტუმრებთან ბოდიში მოიხადა და ოთახისაკენ გასწია.

მზე გადიხარა და ცის კიდურიდან უგზავნიდა დედამიწას ცხოველ მყოფელ სხივებს. მთიდან მონაბერი გრილი ნიავი ეამბორა ხავერდივით რბილ მდელოს, ფოთლები შეარხია და გარშემო საამური სურნელება მოჰფინა. სარკესავით გამჭვირვალე ცის კაბადონზე გამომდგარი ღრუბლის ნაფლეთები ბამბის ქულასავით გაიპენტა. ქალაქის ხშირ ხეივნებში ჩიტებმა დაუსრულებელი კონცერტი გამართეს. ქუჩებიდან ხმაურობა შემოისმა. ძილით ამდგარი მალხაზი ეზოში ჩამოვიდა, ყვავილებს აუარ-ჩაუარა. ნახევრად გაშლილი კოკორი მოსწყვიტა და სასკეში შეჩერდა. სკებიდან შეუწყვეტელი გუზგუზი და ღრიანცელი მოისმოდა.

— რა უშავს ადამიანსაც შეეძლოს ფუტკარივით ამოსწუწნოს ბუნებაში ფერფლად გაბნეული ნექტარი; რა საუცხოო იქნებოდა!... — გაიფიქრა მალხაზმა და კოკორი შეიყნოსა. ცაცხვის ქვევიდან ჩოჩქოლი მოისმა.

„მოდის!“ გაისმა ჰაერში ყრუ შეძახება. — „მოდის!“ მოუფიქრებლად

ძილის მნიშვნელობა სისაღისათვის.

ძილი არის ისეთი მდგომარეობა ჩვენი სხეულისა, როდესაც ადამიანში სწყდება გონივრული მუშაობა და მოქმედება და რჩება მხოლოდ ის, რაც გონებაზე არ არის დამოკიდებული. მაგალითად, ძილის დროს გულის მუშაობა არ სწყდება, იგი განუწყვეტლივ გზავნის სისხლს სხეულის ყოველი ნაწილისაკენ; ფილტვები შეუჩერებლივ განაგრძობენ მუშაობას ძილის დროს და აწვდენენ სისხლს საჭირო მჟავ-ბადს და ათავისუფლებენ მავნე ნახშირ—მჟავისაგან. საჭმლის მოსანელებელ ორგანოებშიაც ძილის დროს გამუდმებული მუშაობაა, მხოლოდ ტვინის მოძრაობაა შეჩერებული ძილის დროს, ისე რომ ადამიანის გონივრული მოქმედება სწყდება. ძილის დროს ადამიანი მოკლებულია შეძლებას შექმნას წარმოდგენა სხვადასხვა შთაბეჭდილებისაგან.

ჩვენი სხეულის ყოველი ნაწილისათვის მჟავბადი აუცილებელი საჭიროებაა, ურომლისოდაც სიცოცხლე ყოველის ნაწილისა, მაშასადამე, მთელის სხეულისაც უმალვე სწყდება. ყველაზე მეტს მჟავ-ბადს ითხოულობს ჩვენი ტვინი, თუ ცოტა ხანს მაინც მოაკლდა სამყოფი მჟავ-ბადი, ადამიანს გონება ეკარგება და უგრძნობელი ხდება. მეცნიერთა გამოკვლევათაგან ჩანს, რომ ძილის დროს ადამიანის ტვინს ზოგიერთი გარემოების გამო, რომელიც ქვემოთ გვექნება განმარტებული, ველარ ჰყოფნის მჟავ-ბადი და აი, ამიტომაც ადამიანი ვარდება ძილათ.

მეცნიერებაში დიდიხანია გამოკვლეულია, რომ ყოველ მუშაობის დროს ჩვენს მუსკულებში იკრიბება ერთგვარი ნივთიერება, რომლის გავლენითაც მუსკული ჰკარგავს მუშაობის ძალას. ამგვარი ნივთიერება იკრიბება მუშაობის დროს არა მარტო მუსკულებში, არამედ სხეულის სხვა ნაწილებშიაც, განსაკუთრებით კი ტვინში, ხოლო რამდენადაც უფრო მეტი იკრიფება ეს ნივთიერება, იმდენად უფრო სუსტდება ორგანო და ბოლოს სრულებით ერთმევა ღონე მუშაობისა.

მეცნიერებაში მუშაობას ეძახიან ცოცხალი არსების ყოველ მოქმედებას: მუსკულების, ნერვების, კუჭის მუშაობას; ყოველი მაჯის ცემა, ჰაერის ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა ფილტვებიდან, ხუთ გრძნობათა ორგანოების მოქმედება არის შედეგი მუსკულებისა და ნერვების მუშაობისა.

ამგვარ მუშაობას ისე ვართ შეჩვეულნი დაბადებიდანვე, რომ მუშაობათაც არცკი ვთვლით. აბა, თქვენ წარმოიდგინეთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანი იძულებულია გაატაროს ერთი თვე ბნელ ოთახში, შემდეგ გამოუშვით იგი გარედ და დარწმუნდებით რა ძნელი ყოფილა და რა სამძიმო მუშაობას შეადგენს თვალებისათვის სინათლის მზერა. როგორც უკვე ვსთქვით, ის ზემოაღნიშნული ნივთიერება უფრო მეტათ ტვინში გროვდება; რამდენათაც უფრო მეტია ეს ნივთიერება, იმდენათ მძიმდება ტვინის მუშაობა; ამ დროს ადამიანი გრძნობს, რომ მას თავი უმძიმდება, თვალები ეხუჭება, ყურებს სმენა აკლდება, სხეულის ყველა ნაწილი უსუსტდება, გრძნობა დაქანცულობისა ძლიერდება და ბოლოს ეკიდება ძილი.

ეს ნივთიერება იმიტომ ასე ეკიდება და მოქმედებს ტვინზე, რომ მის თვისებას შეადგენს მჟავ-ბადის მითვისება, იმ მჟავ-ბადის მითვისება, რომელიც სისხლს ტვინთან მიაქვს; ამიტომ ტვინს ვედარ ჰყოფნის მჟავ-ბადი და ადამიანიც ძილში ვარდება. მაგრამ ეს ნივთიერება, მჟავ-ბადთან შეერთებული, ნელ-ნელა იშლება და ბოლოს სრულებით ჰქრება სხეულიდან.

თავში ამ ნივთიერებას უფრო მეტი მჟავ-ბადი სჭირდება შესაერთებლათ, მაშასადამე, ადამიანის ძილიც უფრო ღრმაა თავში, შემდეგ კი ამ ნივთიერებას უფრო ნაკლები მჟავ-ბადი სჭირდება და მალეც უფრო ფხიზელი ხდება; ბოლოს კი როდესაც ეს ნივთიერება სრულებით დაიშლება, ტვინს ეძლევა საშუალება მისთვის საჭირო მჟავ-ბადი თვითონ მოიხმაროს.

ადამიანის სხეულში მუდმივი და განუწყვეტელი დაშლაა უჯრედებისა; ხოლო ის, რაც იშლება, ხელმეორეთ ივსება; რამდენათაც უფრო მეტ მუშაობაშია სხეული, იმდენათ უფრო ძლიერია უჯრედების დაშლა.

ის, რაც დღისით მუშაობის დროს იშლება, ღამ-ღამობით ძილის დროს უნდა შეივსოს. აქიდან ჩანს, რომ ძილს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონია ჩვენთვის! იგი ამყარებს ჩვენს სხეულში თანასწორობას უჯრედებთა შორის.

პატარაობისას, როდესაც სხეული ზრდის ხანაშია, სხეულს ესაჭიროება არა მარტო უჯრედების დაშლის შევსება, არამედ მათი განვითარებაც. ამიტომაცაა, რომ პატარა მთელ დღეს და ღამეს ძილში ატარებს; იღვიძებს მხოლოდ საჭმლისათვის.

ზომიერი ძილი ხელს უწყობს სხეულის მაგარ აგებულების განვითარებას, ხოლო განვითარების დასრულების შემდეგ საშუალებას აძლევს სხეულს შეინარჩუნოს თანასწორობა უჯრედებთა შორის.

იმან, ვინც ძლიერ ამუშავებს ტვინს და მუსკულებს, ძილში უნდა ეძიოს ძალღონის მოპოება.

სხვადასხვა ასაკისთვის, სხვადასხვა ხანგრძლივობაა ძილის საჭირო. ახალ დაბადებულთ პირველ ხანებში თითქმის სულ სძინავს, შემდეგ კი რამდენათაც იზრდება, ძილი თანდათან აკლდება. საზოგადოთ ბავშისთვის საჭიროა 10—12 საათი ძილი, შუახნის კაცისთვის 7—8 საათი, მოხუცისათვის კი 5—6 საათიც საკმარისია. მოხუცის სხეულში უჯრედებთა თანასწორობა დარღვეულია, მათ დაშლას სხეული ულონობის გამო სავსებით ველარა ჰფარავს, ამიტომ ძილიც აღარ შეადგენს ისეთ მოთხოვნილებას, როგორიც საჭიროა ახალგაზდისათვის.

საზოგადოთ ადამიანს იმდენი უნდა ეძინოს, რომ გამოღვიძებისას იგრძნოს თავისი თავი მაგრად, მხიარულად და ხალისიანათ. აი, ასეთ ძილს აქვს სარგებლობა; თუ კი თქვენ სუსტათ ხართ, ტანში დამტვრეული და თავიც მძიმეთ გაქვთ, იცოდეთ, რომ ასეთი ძილი თქვენთვის სრულებით უსარგებლო იყო.

ადამიანმა უნდა დაიძინოს მაშინ, როდესაც იგი გრძნობს, რომ ეძინება. უმრავლესობას სძინავს ღამე, დღე კი მუშაობს, ჩვენ უკუღმართ დროში კი ხშირია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ადამიანი მთელი ღამე ბანქოს თამაშს უნდება და მხოლოდ გათენებისას მიეცემა ძილს; ასეთი მუშაობა ყოველ საქმისთვის მავნეა, ვინაიდან ასეთი პიროვნება მუდამ დაღლილი და ნერვებ აშლილია, საქმისთვისაც საზარალოა. საღი და ბუნებრივი ძილი ის არის, როდესაც ადამიანი მზის ჩასვლისთანავე იძინებს და მზის ამოსვლისათანავე კი იღვიძებს; ასე იქცევიან სოფლებში, ხოლო ქალაქებში კი ცხოვრება სრულებით გადამახინჯებულია და ბუნებასთან დაშორებულიცაა.

ექიმი ბადრიძე.

◆

შემცდარი გზა.

გრიგოლ რობაქიძის ლექციური გასამართლება ი. გედევანიშვილის „სინათლესი“ მეტად საგულისხმო მოვლენაა საქართველოს დღევანდელ ინტელიგენციის სულისკვეთებაში.

როდესაც ბ-ნ რობაქიძის მგზნებარე სიტყვას უსმენთ, უნებლიეთ გაგონდებათ ცნობილ რუს კრიტიკოს აიხენვალდის მიერ არა ნაკლებ ცნობილი ბელინსკის „ლიტერატურული დასამარება“.

ბელინსკის დაგმობა უარყო მთელმა მოაზროვნე რუსეთმა. ელის ასეთივე ბედი „სინათლეს“?

ჩვენ ამით სრულიად არ გვინდა შევადაროთ გედევანიშვილი ბელინსკის, მხოლოდ „სინათლის“ დაგმობა იმ თვალსაზრისით, რომელიც მოგვაწოდა გრ. რობაქიძემ, არა ნაკლები მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე ბელინსკის კრიტიკულ შრომათა დასამარება რუსეთისათვის.

რა არის „სინათლე“? -იგი ზღაპრული ამბავი, ფეერიაა, აგებული ქართულ (თუ გნებავთ ქართლურ) კილოზე. ეს ზღაპარი უცილობლად სიმბოლიური ხასიათისაა. და აი ამ სიმბოლიურ ზღაპრის სცენაზე დადგმამ მოხიბლა ქართული გული, როგორც არისტოკრატიული, ისე დემოკრატიული. ჯიმშერ-ავთანდილის ამბავმა აღფრთოვანა ქართველობა და ააჟღერა იგი ეროვნულ ჰანგებზე.

გრიგოლ რობაქიძეს კი უკისრია მეოცე საუკუნის საქართველოს გიორგი საკაძობა (შედარება თვით ლექტორს ეკუთნის) და მისი მგზნებარე ლექცია — მანიფესტით ლახვრავს ეროვნულ აღტაცებას.

მიზეზი?— „სინათლე“ —ესთეტიური გარყვნილებაო,—ამბობს ლექტორი. მისი გამარჯვება აიხსნება მხოლოდ ჩვენი უკულტურობითაო. ფაბულა „სინათლისა“ მეტათ სადაა და მარტივია და მხატვრობის მხრით იგიც არ არის საკმაოთ განვითარებულიო. „სინათლე“ თავიდან ბოლომდი უბრალო ფანტასტიკას წარმოადგენს. მას აკლია დრამატიზმი: არც ერთი მისი გმირი არ განიცდის სულიერ დრამასო. „სინათლე“ არც რეალისტურია და არც სიმბოლიური. მისგან გამოწვეული ეროვნული გრძნობა უფრო „ფიზიოლოგიური ხასიათისაა“ და ამიტომაც დასაგმობიო“.

ასეთია ლექტორის სასტიკი განაჩენი.

ქართველობამ დიდათ მოიწონა „სინათლე“; გრიგოლ რობაქიძე კი ასამარებს მას. ვინ არის მართალი, თუ გინდ ისტორიულ თვალთახედვითაც?

ჩვენ პირადათ არ ვეკუთნით ი. გედევანიშვილის „სინათლეს“ თაყვანისმცემელთ. პიესას უსათუოდ თან სდევს ბევრი ნაკლი; აკლია შალაშინი, პიესაში კოჭლობს ინტრიგის განვითარება და სხვა ასეთი. მაგრამ, მაინც არ შეიძლება სამუდამო დაგმობა-დასამარება. მით უფრო, რომ ლექტორს ესთეტიურ კრიტიკაში ჩაურთვია წმიდა ესთეტიურ კრიტიკისგან მეტათ დაშორებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოსაზრებანი.

გრიგოლ რობაქიძე პირველთაგანია, რომელმაც საქართველოში გადმოიტანა ევროპულ-იდეალისტური მისტიკა. ამ მხრით მას უსათუოდ ღვაწლი მიუძღვის ქართულ იდეოლოგიურ მიმდინარეობათა გამდიდრებაში; მაგრამ ახლანდელი მისი მანიფესტაცია ვერაფრით ვერ გამართლდება.

პირველი მომაკვდინებელი ცოდვა გრ. რობაქიძისა „სინათლეს“ დაგმობაში გახლავთ პიესის განხილვა ფსიხოლოგიურ დრამის კრიტერიუმით.

ლექტორმა თითქმის მთელი ლექცია იმას მოანდომა, რომ დაემტკიცებია— „სინათლე“ ვერაფერი დრამა არისო. ამისთვის მან გაიხსენა არისტოტელის პოეტიკა, ჰაუპტმანი, იბსენი და სხვა.

განა ეს დონკიხოტის წისქვილებთან შებრძოლება არ არის?

არც ავტორი „სინათლისა“ და არც სხვა ვინმე არ ამტკიცებს, რომ „სინათლე“ მარტო ზღაპარი—ფეერია კი არა— დრამაც არისო. ლექტორს უნდა დაემტკიცებია, რომ „სინათლე“ არარაობას წარმოადგენს. როგორც ზღაპარი—ფეერია. და ეს კი ჩვენ ვერ დავინახეთ მის ლექციაში. ყოველ შემთხვევაში შედარება შეიძლებოდა უფრო მეტერლინკის „ლურჯ ჩიტთან“, ვიდრე ჰაუპტმანთან. ჩვენ ვიცით, რომ არც მეტერლინკის პიესაში „იტანჯვის“ ვინმე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მოსკოვის სამხატვრო თეატრმა იგი საიუბილეოთ დაიდგა. მართალია, გრ. რობაქიძე შეეხო ,,სინათლეს'', როგორც ზღაპარსაც, მაგრამ მისი კრიტიკა ამ მხრით სრული არარაობა იყო: ლექტორს არ მოსწონს ზღაპრული ეფექტები ,,სინათლისა''. იგი მათ ,,კინემატოგრაფიულ ოინბაზობას უწოდებს. რატომ? განა მან არ იცის, რომ ,,ფეერიას'' თვისება სწორეთ ასეთი სასწაულებრივი გარდაცვლა, დეკორაცია—ბალეტი და სცენაზე ზეიმის გამართვა არის?

განა ასეთი არ არის ეფექტები მეტერლინკის პიესა—ფეერიისა?

ლექტორს არ მოსწონს „სინათლეში“ მომქმედ ეშმაკ ადამიანთა კილო ლაპარაკისა. საკვირველია სწორეთ! განა ლექტორმა არ იცოდა, რომ ყოველ სოფელს თავისი იერი აქვს და რა არის დასაგმობი მასში რომ გედევანიშვილის ქაჯები ქართლურ კილოზე ბაასობენ. ეს ერთგვარი მხატვრული საშუალებაა, რომელსაც უწოდებენ „Coloris locale“.

მოიგონეთ ანალოგიური სცენები „ფაუსტიდან'', ვალპურგიას ღამე და კუდიანთა სამზარეულოში, მოიგონეთ მათი ოხუნჯური მოქცევა ფაუსტთან და მეფისტოფელთან და თქვენ დამეთანხმებით, რომ გედევანიშვილის პიესაში არავითარი ისეთი ,,ჰყანაობა'' არ სჭარბობს.

დარჩა უკანასკნელი და იმავ დროს ყველაზე უფრო საგულისხმო ბრალდება.

— ,,სინათლეში'' არავითარი სიმბოლიზმი არ იხედებაო, ამბობს ლექტორი. საქართველოში წარმოუდგენელიცაა სიმბოლიზმის არსებობა. სიმბოლიზმი ვერლენ-ვერხარენის კუთნილება ყოფილა. ჩვენში თურმე მარტო ალეგორია თუ არსებობს.

პატივცემულ ლექტორს ავიწყდება, რომ სიმბოლიზმი მარტო [illegible] კუთვნილება არის და ბელგია-საფრანგეთის დეკადენტური სიმბოლიზმი სავსებით არ სწურავს მთელ სიმბოლიურ მიმართულებას ხელოვნებაში.

როგორც სამართლიანათ შენიშნავს ჰეგელი (კურსი ესთეტიკისა, შესავალი მეორე ნაწილისა) მთლად აღმოსავლეთს ეკუთნის. ,,სინათლეს'' სიმბოლიზმი მარტივია იმოდენათ, რამდენათაც მარტივია ქართული ზღაპრის ხასიათი. და ეს ,,მარტივი'' თავისებურება უფრო მეტად ძვირფასია ჩვენთვის, ვიდრე უცხოეთის დეკადენტური სიმბოლიზმის ბერიკაობა.

თქვენ იტყვით, რომ ხელოვნების კანონებში ორმაგი ბუღალტერია არ არსებობსო, შეცდომა იქნება. ორმაგობაც არსებობს და მრავალმაგობაც, ვინაიდან ყოველი ეროვნული ხელოვნების მოქმედებას, გარდა ეროვნულ იერისა ემჩნევა რასისა და მსოფლიო კულტურათა თავისებურობის ზეგავლენა.

არსებობს აღმოსავლეთის აზიური კულტურა როგორც ასეთი, და არსებობს დასავლეთის —ევროპული კულტურა, შეურიგებლობა და უფსკრული მათ შორის გარდუვალია. დასავლეთის კულტურის შვილი ვერასოდეს ვერ ეზიარება მისთვის უცხო აღმოსავლეთის კულტურის სულს. იგი მხოლოდ ზერელათ თუ დააფასებს მას. მთელის საუკუნის განმავლობაში ევროპა ვერ მისწვდა ვერც ოსმალთა, ვერც სპარსთა, ვერც ჩინელთა, და ვერც ინდოელთა მარადიულ სულისკვეთებას, ვერ სწვდება იგი ვერასოდეს ვერც ქართველთა შემოქმედების აზიურ ნაკადულს, რომელმაც იფეთქა პირველ ყოვლისა, რუსთველში.

და ყოველ კრიტიკოსს, რომელიც გრ. რობაქიძესავით ევროპის დეკადენტურ კანონებით მოინდომებს ქართულ ზღაპრულ ფეერიის დაფასებას, ეს ,,სადა მარტივი, ფეერია ,,განუვითარებელ უხეშ ქართლელ ტეტიათა ,,ჰყანობათ'', მოეჩვენება.

ნუთუ მოსაწონი იქნებოდა, რომ ი. გედევანიშვილის ჯიმშერი—ავთანდილი და დავრიში საუბრობდენ გაბრიელ და ანუნციოს გმირთა ენაგამოთქმით?.

ერთადერთი მოწყალება ,,სინათლესადმი'' რომელიც გამოიჩინა გრიგოლ რობაქიძემ გახლდათ ალეგორიის აღსარება პიესაში. პიესა უსიმბოლოა, შიგ მხოლოდ ალეგორია არისო.

და განა ალეგორიული ძარღვი პიესაში მდაბიო რამეს წარმოადგენს. განა შლეგელი არ იყო, რომ ალეგორია უმაღლეს ფორმათ აღიარა პოეზიაში?

განა უაღრესად ალეგორიული არ არის დანგე ალიგერის ,,ღვთიური კომედია'' (ღვთისმეტყველება) ბეატრიჩე).

გ. რობაქიძე კი ისე ერთი ხელის გაკვრით ასამარებს მთელ ქართულ სიმბოლიზმს, როგორც ალეგორიულ პოეზიას (ილია ჭავჭავაძე და განდეგილი).

ასეთი მეთოდი ლიტერატურული კრიტიკისა კარგს ნაყოფს ვერ გამოიტანს, უკეთეს შემთხვევაში მას ხვდება წილად ბედი ,,ქრევულ ფუტურიზმისა''

გრ. გეშაპელი.

◆

სახალხო მასწავლებელთა კურსები.

15 ივნისიდან დ. ხონშიც მზრუნველის განკარგულებით ქუთაისის დირექციამ სახალხო მასწავლებელთა კურსები გახსნა, რომელზეც მოწვეული იყო სახალხო სკოლების 60-მდი მასწავლებელი ქუთაისის გუბერნიის ყველა რაიონიდან. კურსებზე გამოცხადდა მხოლოდ 51 ქალი და კაცი.

ასეთ კურსებზე,—გარდა იმისა, რომ მასწავლებლები ცოდნასა და გამოცდილებას იძენენ და იწვრთნებიან, ხელოვდებიან იმ მძიმე და პასუხსაგებ საქმის ღირსეულად შესრულებაში, რომელსაც მათ ავალებს მათი პროფესია, იღებენ მონაწილეობას სწავლა-აღზრდის შესახებ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც ხშირად ღებულობს ფრიად არა სიმპატიურს ტენდენციოზურ ხასიათს, და ამიტომ რომელიმე მასწავლებლის დაკლება კურსებზე შესაწყნარებელი არაა, ვინაიდან მათი დასწრების აუცილებლობას თხოულობს საღი პედაგოგიკის პრინციპების დაცვა და გამოსარჩლება.

კურსებს ხელმძღვანელობს სახალხო სკოლების პირველი რაიონის ინსპექტორი ერმანი.—მგონია, არ შევცდები, რომ აღვნიშნო (თუმცა სულ ორი სამი დღის შთაბეჭდილებით), რომ ეს პირი არ უნდა იყოს ურიგო და სასურველ ხელმძღვანელობასაც გაუწევს.

ლექციების საკითხავათ, სხვათა შორის, მოწვეულია ქუთ. სავაჟ. გიმნაზიის მასწავ-

---

გაიმეორა მალხაზმაც. ეზოში ეტლი შემოსრიალდა.

ეტლიდან ფეხაკრეფით გადმოვიდა საკმაოდ ჩასუქებული, შუა ხნის მანდილოსანი, შუბლზე გადმობარდნული ქერა თმები მაისწორა და ხელის ხელ გამოდებით სამიოდე წლის ბავში გადმოახტუნა. უცნობ მანდილოსანს გადმოჰყვა სამხედრო მოწაფის ტანსაცმელში გამოწკეპული ახოვანი მოყვანილობის ახალგაზდა, დეზები გააჩხარუნა და მხრების აწევით ვებერთელა ხმალი გვერდზე მოიგდო.

— „ვალიკო„, შესძახა ქეთომ, ხელები გაშალა და ახალგაზდას გადაეხვია.

„ვალიკო“, ერთხმად გაიმეორეს სტუმარმა მანდილოსნებმაც.

— „კარგი, დედაჩემო, კმარა!—ჩაილაპარაკა ვალიკომ, დედის მკლავებიდან თავი გაითავისუფლა და გარშემო შეგროვილ მანდილოსნებს მიესალმა.

— როგორ გიკითხოთ, ვალიკო, ხომ ყოჩაღათ?...—

„გმადლობთ, ასე, ვცხოვრობ, რაღა... ა...ა...ა!.. მამაჩემიც აქ არის; თითქო მოხუცებულა კიდევაც!..—ღიმილით სთქვა ვალიკომ, დეზები გააჩხარუნა და მალხაზს მიუახლოვდა. მალხაზმა შვილს სათვალეს ქვეშიდან ახედ-ჩახედა, ნაბიჯი უკან გადასდგა და კითხვითი ნიშნად გადაიქცა.

— როგორ გაოცებული შემომყურებთ, მამაჩემო, თითქო ვერც კი მიცნობთ!

— დიახ, დიახ, ამ ტანისამოსში ვექვობ რომ... დამაცათ ცოტა: იქნება თვალები მატყუილებს!“ წაიბუტბუტა მალხაზმა და ნაბიჯი ისევ უკან გადასდგა.

— კარგი მამაჩემო, რადროს ეგაა!.. — გააწყვეტინა ვალიკომ, ღონიერი მკლავები გაშალა და მამას მკერდზე მიეყრდნო,

— „თქვენ ვინ ბრძანდებით?“—დაეკითხა ქეთო ვალიკოს თანამგზავრ მანდილოსანს და თვალი თვალში გაუყარა.

— Не понимаю!—თავი გააქნია უცნობმა და რედიკიულიდან ცხვირსახოცი ამოაძვრინა.

— „მართლა, კინაღამ დამავიწყდა: ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ... მარია პეტროვნა, ეს ჩემი, ასე ვსთქვათ, ამხანაგი ქალი. ესეც ჩემი... ხე...ხე...ხე!.. ჩემი ბარტყი... მაგრამ, დაუძახეთ მოსამსახურეს, ბარგს მიხედავს... მეეტლესაც... მგზავრობაში არ გადამრჩა, რომ მივსცე“.

— სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას გაოცება დაეტყო. ქეთო შეტორტმანდა, უცნობი მანდილოსანი უაზროდ გადაჰკოცნა და ბავშს მიუალერსა.

— Не хочу!—დაიღრიალა ბავშმა, სასაცილოთ დაიღრიჯა და ხელები დედის კალთას ჩასჭიდა.

— „რას ღრიალობ, შე არამზადავ! არ იცი ვინც გიალერსებს!..“ გაიღიმა ვალიკომ და ბავშს თითი გაუკეთა.

— „ამიხდა სიზმარი, და მერე როგორ მალე“!—გაიფიქრა მალხაზმა, მეეტლეს მიუახლოვდა და ფული გადასცა.

საღამოზე, ჩვეულებრივ, სტოლზე სამოვარი გუზგუზებდა. ღია ფანჯრების ჩარჩოებს ბადრი მთვარის ვერცხლის ფერი სხივები ეალერსებოდა. გრილი ნიავი სამოვრის ოშხივარს ოდნავ არხევდა. მგზავრობიდან დაქანცული მარია პეტროვნა ტახტზე მხარ-თეძოზე იწვა, შთაბეჭდილებებისაგან ვერ გამორკვეულიყო, იქვე მწოლარე ბავშს დასცქეროდა და წამისწამ ამთქნარებდა. ვალიკო სამოვარს უჯდა, გატაცებით ლაპარაკობდა და დროგამოშვებით მურაბიან ჩაის ეწაფებოდა. ჩაფიქრებულ მალხაზს ვალიკოს ლაპარაკი რახა-რუხად ესმოდა, ოფლს იწმენდავდა და გამშრალ ხახას ჩაით ისველებდა.

„ჩემი ვალიკო, ჩემი დედის ერთა!.. იმეორებდა ერთსა და იმავეს გრძნობით გაბრუებული ქეთო.

— „როგორ ჩაფიქრებულხარ, მამაჩემო! არ მოგწონს რომ სამხედრო ნაწილზე გადაველი“?.. იკითხა ვალიკომ, როცა სალაპარაკო შემოაკლდა და პაპიროსი აბოლა.

— „როგორ არა; დიაღაც, ყოჩაღად ყოფილხართ... სამხედრო მუნდირი... საკუთარი ოჯახი... ყველა ეს მოსაწონია... ექიმობა კი!“..

— „უნდა გამოგიტყდე, ვერაფერი ხელობაა ეს თქვენი ექიმობა: მუდამ დღე ავათმყოფებთან ქაქანი, თავმომაბეზრებელი რეცეპტების წერა და რავიცი ათასი რა!.. ჩვენი საქმე კი სხვაა: ფეხოსანი ხომ არა ვარ: ცოტა კიდევ და კარნეტი ვიქნები. „эскадронъ впередь“ და საათში თორმეტი ვერსტი!.. ხე... ხე... ხე... კარგია არა“·

— „ქეთო, შეუძლოდა ვარ, უბრძანე გოგოს, ლოგინი გაშალოს!“ ·მიუბრუნდა მალხაზი ქეთოს, ვალიკოს პასუხი არ გასცა და თავი ძირს ჩაჰკიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მალხაზი ლოგინში იწვა, თვალს რული არ ეკარებოდა, ნაპბენივით გვერდიდან გვერდზე ტრიალებდა და ფიქრობდა:—„როდის გაივლის ზაფხული, რომ ახირებული სტუმრები გადავიცალო; რა უშავდა, სულ არ გამჩენოდა შვილი!“.

ა. წუწუნავა.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბიამნის სითხით
ენახების საქიმო

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
უმაღლესი ხარისხის
ძლიერ ზომიერ ფასად
გოგირდის ფხვნილი, ჟაკმენის სითხე,
ნამდვილი ინგლისური შაბიამანი,
მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.
მანქანების ყოველგვარი რეზინებისა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.
მიხაილოვის ქუჩა,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრებ ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანაღდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ლებელი გიგინეიშვილი, რომელიც კითხულობს ლექციებს სიტყვიერების თეორიაზე. ლექციების შინაარსის განხილვას მე აქ არ შევუდგები, მხოლოდ არ შემიძლია არ აღვნიშნო ის უსაზღვრო აღფრთოვანება და აღტაცება, რომელიც გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში მისმა პირველმა 2—3 ლექციამ, რაიცა გამოიხატა მხურვალე და ხანგრძლივი ტაშისცემით... ლექციები ეხებოდა საერთოდ ხელოვნებას, პოეზიას, სიტყვაკაზმული ნაწარმოების ფართო მნიშვნელობას ესთეტიური სიამოვნების განცდის ძირითად მოტივებს, საერთოდ სიყვარულს, და კერძოთ,—სამშობლოს სიყვარულს. ლექტორი, სხვათა შორის, ამბობს: „შემცდარი აზრია და მხოლოდ განზრახ გულის დაყრუება, გრძნობის დაჩლუნგებაა, როცა ამბობენ, ჩემი სამშობლო ის არის, სადაც მე მაძღარი ვიქნები“-ო. ადამიანს, გარდა ხორციელი მოთხოვნილებისა, აქვს კიდევ, უფრო მაღალი, სულიერი მოთხოვნილება და სწორეთ ასეთ მოთხოვნილებათ მან მეტად აშკარათა და მოხდენილათ დახატა სამშობლოსადმი სიყვარული...

თუ-კი პატივცემულმა ლექტორმა ამ სახით ბოლომდი განაგრძო, ცხადია, იგი უზომო პატივისცემას და სიყვარულს დაიმსახურებს ჩვენ—სახალხო მასწავლებელთა—წინაშე. დანარჩენ ლექტორებზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი...

რაც შეეხება კურსების მსმენელ მასწავლებლებს, სიმართლე უნდა სთქვას, კაცმა, წასულ წლების უბედურებით დაშინებული, იმის ნახევარს საიმედოს არას მოველოდი, რასაც დღეს, საბედნიეროთ, ვხედავ!... წინანდელთან შედარებით სულ სხვა კილო, სულ სხვა სული ტრიალობს ამ კურსებზე... აქ დამსწრე მასწავლებლებს აშკარათ ეტყობათ (დიდ უმრავლესობას მაინც) გამოფხიზლება და კეთილი მისწრაფებით გამსჭვალვა... არც ერთი სიტყვას, არც ერთი უმნიშვნელო ნაბიჯს წინასწარ გაუსჯელათ და საერთო კრებაზე განუხილავათ არ ხარჯვენ, რომ დაუფიქრებელ მოქმედებას სამწუხარო შედეგი არ მოყვეს...

ამ მოსაზრებით ცალკე კომისიაც-კი აირჩიეს, რომლის ხელშიც უნდა გაიაროს ყველა სანიმუშო გაკვეთილის კონსპექტებმა და აგრეთვე ყოველგვარმა საზოგადო საპედაგოგიო საკითხებმა, რომელიც-კი იქნება წამოყენებული ამ კურსებზე გასარჩევათ. ესევე კომისია გაარჩევს და აღნიშნავს ყველა ღირსება—ნაკლულოვანებას, ე. ი. წინდაწინ შეამუშავებს მოვარჯიშე მასწავლებლების მიერ მიცემულს სანიმუშო გაკვეთილების გარჩევას, ვიდრე იგი საერთო სხდომაზე იქნებოდეს გარჩეული, სასტიკი თვალყური უნდა ადევნოს, რომ ვინმემ „ბუნებრივად“ წოდებული მუნჯური მეთოდი არ გაატაროს გაკვეთილზე.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში ნაკლები მოსალოდნელია ისეთი შეცდომების დაშვება, როგორიც მოუვიდათ შარშანდელს ქუთაისისა და სხვა კურსებზე დამსწრე მასწავლებლებს.

ეს ერთი პრაქტიკული ნაბიჯი შარშანდელთან შედარებით.

სხვათა შორის, ხონის კურსების მასწავლებლებს განზრახვა აქვთ ისარგებლონ ამ მოხერხებული შემთხვევით და დააარსონ რაიმე საზოგადოება სახალხო მასწავლებელთა სახელობაზე. ამ საქმეში დახმარება, თუ ინიციატივა რამდენიმე გარეშე,—არაკურსისტ მასწავლებლებსაც სთხოვეს, მაგრამ, უნდა მოვახსენო მათ, რომ, სამწუხაროთ ამ საქმის განხორციელება დღევანდელს პირობებში აგრე უცებ ყოვლად მოუხერხებელია; ვინაიდან რაიმე საზოგადოების დაარსების ნებართვა გუბერნატორისაგან უნდა იქნას აღებული, რასაც ბევრი დრო სჭირია. თქვენ კი მასწავლებლებს ჯერ სამოსწავლო მთავრობამ უნდა დაგრთოსთ ნება და შემდეგ მეორე ადმინისტრაციამაც, რასაც გაცილებით უფრო მეტი დრო დასჭირდება... ამით მთლათ იმედს ნუ წარიკვეთთ და გულზე ხელებს ნუ დაიკრეფთ. ერთბაშათ არაოდეს არაფერი კარგი საქმე არ კეთდება ხოლმე და თქვენც უნდა ამ თავითვე ნელნელა შეუდგეთ საქმეს. წინასწარი მუშაობა ამ აუცილებელი და დიადი საქმისთვის ნიადაგის მოსამზადებლათ სწორეთ ახლა არის საჭირო. ამას გარემოებაც ხელს უწყობს, ვინაიდან თავმოყრილია რამდენიმე მასწავლებელი, რომელთაც შეუძლიათ გაუზიარონ ერთმანეთს თავისი აზრები ამ საკითხის შესახებ, მოილაპარაკონ, გაითვალისწინონ მისი მნიშვნელობა და საერთო გადაწყვეტილებას დაადგენ.

რამდენათ შესძლებენ წრევანდელი კურსების სამრევლო თუ სამინისტრო სკოლების მასწავლებლები ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას, ან რა გადაწყვეტილებას დაადგებიან, ყოველივე ეს საჭირო გამოცხადდეს პრესის საშუალებით თავის დროზე.

ია ნარიძე.

რუსეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბურცევის წერილი შჩეგლოვიტისადმი.

ბურცევმა გაუგზავნა შჩეგლოვიტოვს განცხადება, რომლითაც იგი მოითხოვს პასუხისგებაში იქნას მიცემული ევნო აზეფი, როგორც მებრძოლი ორგანიზაციის მეთაური. ბურცევი ჩამოსთვლის ოცდაათამდი მეტს ტერორისტულ აქტს, რომელიც მოხდა აზეფის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1910 წლამდი. ბურცევი ამბობს, რომ აზეფმა მოაწყო მინისტრის პლევეს და დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის მკვლელობა. მან მისცა „მებრძოლთ“ საჭირო ცნობები, რომელიც მან მიიღო პოლიციის დეპარტამენტიდან და დამცველი განყოფილებიდან, რამაც უფრო გააადვილა მკვლელობის მოწყობა. როცა მებრძოლი ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრი ერთ დროს ცხოვრობდა პეტერბურგში მოგონილი სახელითა და გვარით, აზეფმა, რომელსაც მათთან კავშირი ჰქონდა, მიიღო ზომები, რომ ყველა ისინი დაეტუსაღებიათო. (რ. ს.).

ნაფიც. ვექილთა თანაშემწეების უფლების შეზღუდვა.

მინისტრთა საბჭომ გამოსთქვა სურვილი—განხორციელდეს იუსტიციის მინისტრის მოსაზრება: ნაფიც ვექილთა თანაშემწეების უფლების შეზღუდვის შესახებ, რომლითაც მათ უფლება არ ექნებათ გამოვიდენ ჯაშუშების დამცველათ და საერთოდ უცხოელთა საქმის გამო სასამართლოში. პროექტი ამის შესახებ შემოდგომაზე შეტანილ იქნება სახელმწიფო სათათბიროში. (რ. ს.)

ფასტოვის საქმის შესახებ.

ბავში ტარანენკო, რომელსაც „მოკავშირენი“ ასახელებდენ, რომ მოკლეს ფასტოვოში ებრაელებმაო—ნახეს ჟიტომირში. ახლა ცნობაა: რომ ნახეს ორი სხვა ბავშიც: იანი და ვლადისლავ სოკოლოვსკები. ამ უკანასკნელთა დასახელება სურდათ მოკავშირეებს მაშინ, როცა შეატყვეს, რომ ვერსია ტარანენკოს შესახებ ირღვეოდა. სოკოლოვსკები იმალებოდენ თურმე სოფ. კოპილოვკაში, კიევის გუბ. (რ.)

ილიოდორეს საჩივარი დეპ. მაკლაკოვზე.

მინისტრთა საბჭომ განიხილა იუსტიციის მინისტრის შჩეგლოვიტოვის მოხსენება და პირი ილიოდორეს საჩივრისა მაკლაკოვზე, ილიოდორემ შეურაცხყოფილათ იცნო თავი სათათბიროში მაკლაკოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვით, რომელშიც იგი შეეხო ვიღაც „სულელი ბერის“ მოღვაწეობას. მინისტრთა საბჭომ დაადგინა უყურადღებოთ იქნას დატოვებული ილიოდორეს საჩივარი, რადგანაც მაკლაკოვის სიტყვაში არ იყო მოხსენებული სახელი „სულელი ბერისა“, ამიტომ ამ სიტყვაში არ არის შეურაცხყოფა, არც ილიოდორესი და არც ვინმე სხვისა. (რ. ს.)

უცხოეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისი და სპარსეთი.

თემთა პალატაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს ლორდი რონალდ-ბეი შეეხო ინგლისის მთავრობის ინგლის-სპარსეთის ნავთის მრეწველთა კომპანიასთან ხელშეკრულობას. რონალდ-ბეის აზრით, ჩერჩილის მიერ შესრულებული ხელშეკრულობა გამოიწვევს სპარსეთისადმი კაბინეტის პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებას. ამის გამო, ორატორი თხოულობს, გრეიმ განმარტება მისცეს პალატას, რა მდგომარეობას იჭერს სპარსეთისადმი ინგლისის პოლიტიკა. გარეშე საქმეთა მინისტრმა, სთქვა რონალდ-ბეიმ, მოგვცა იმისთანა განმარტება, რომ კაბინეტის პოლიტიკის კურსი სრულ წინააღმდეგს წარმოადგენს 1908 წ. რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულობისას. ნოვლი იმედოვნებს, რომ ინგლისის და გერმანიის დაახლოება საშუალებას მისცემს გრეის შეცვალოს თავისი პოლიტიკა სპარსეთისადმი. სპარსეთის სატახტო ქალაქი არ უნდა „იყოს რუსეთის გავლენის ქვეშ, სთქვა ორატორმა. (რ. ს.)

კონკორდატი სერბიისა და რომის პაპს შორის.

ბელგრადიდან ცნობაა: ვიდრე მოხდებოდეს კონკორდატის რატიფიკაცია სერბიის მთავრობას სურს შეიცვალოს რამდენიმე მუხლი, სახელდობ მეტი სხვათა შორის ვიანსურო წრის დაწესება. კონკორდატი იქნება პირველი საერთაშორისო აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს კრონპრინცი, როგორც რეგენტი. „სამოურავო“ რედაქტორი ამბობს, რომ კონკორდატის საშუალებით მიზნათ არის დასახული სერბის შინაურ-საქმეებში უცხოელების ჩარევის მოსპობა. (რ.)

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭილაძე.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით
ამავე კურსებთან იხსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. დილის 9—12-მდე და საღ. 8—9 საათამდე.
მისამართი: თფილისი, პუშკინის ქუჩა, № 8 ტელ. 10—30.

სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში მყოფის ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვის, მისი მხომლობისა, სამშენებლო და სამეურნეო განყოფილებების
თფილისის პოლიტეხნიკურ კურსებზე
პირველ სემესტრში გამოუცდელათ მიიღებიან: 1872 წლის დებულების სამოქალაქო სასწავლებლისა, ან და მისი მოთანასწორე სასწავლებელ დასრულებული პირები. მიწისმზომლობის განყოფილების დამსრულებლებს, თუ საჭიროება იქნება, სამეურნეო ნაწილის გამზე თავისუფლდებიან კანდიდატებათ და მიწის მომზომთ კომისიის მიწის მზომელობის იღებენ (სამინ. ბრძ. 1914 წ. 22 თებერვლის 1072 ნომრის მოწერილობა). მიწისმზომლობის განყოფილებაში ორი წლის კურსია, სამშენებლოსა და სამეურნეოში კი ორი წლინახევარი. პროსპექტს ვგზავნით ექვსი შაურის საფოსტო მარკების მიღებისთანავე.
მისამართი: თფილისი, პუშკინის ქ. № 8 ტელ. 10—30.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე ყველაზე იაფად ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.
წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველად საჭირო იქნება თქვენთვის სადებავი მასალები, თავისთავად ცხადია, დაიჭირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში სადებავების საყიდლად, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს სადებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! სადებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ
ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი სადებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრს და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან)
ა. თაბაგარის მაღაზიაში.
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილობა. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევით.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვაჭრობა ნისიათაც, თვიური შემოტანით.